სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ზვიად გოჩაშვილის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**20**	**20**
პროფესიული თვისებები	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**90**	**100**

სახელი, გვარი: **/ნიკოლოზ მარსაგიშვილი/**

თარიღი : 17.09.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს
მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე
კანდიდატის - **ზვიად გოჩაშვილის** შეფასების
დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით დაწყებული სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის - ზვიად გოჩაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

1. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით, სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა, პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ზვიად გოჩაშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ იქნა მის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული პერსონალური საკრედიტო

ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. ზვიად გოჩაშვილის დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან მიღებული იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები და კითხვარები. ამასთან, ზვიად გოჩაშვილის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენის დროს უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისება.

<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u> მახასიათებლის მიხედვით რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, პასუხისმგებლობის გრძნობას, კორექტულობას, ჰუმანურობას. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ზვიად გოჩაშვილს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით დაკისრებული ჯარიმები ზვიად გოჩაშვილს გადახდილი აქვს დროულად.

<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს</u> რაც შეეხება, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ როგორც დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და სამართლიან პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ იგი არასდროს ექცევა სხვისი ზეგავლენის ქვეშ, შეუძლია ობიექტურად და მიუკერძოებლად განახორციელოს სამოსამართლო უფლებამოსილება.

კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი, ან/და შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ზვიად გოჩაშვილი გაწონასწორებულია და მართავს საკუთარ ემოციებს. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული, კორექტული და თავაზიანი. ამასთან, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ზვიად გოჩაშვილი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მისი მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის</u> მიხედვით, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და

გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის - ზვიად გოჩაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არაა ხელმისაწვდომი არანაირი ინფორმაცია. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ზვიად გოჩაშვილი აქტიურად მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებლით შემოწმებისას კანდიდატი შევაფასე სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ ზვიად გოჩაშვილი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ზვიად გოჩაშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, - სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის</u> კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 4 სექტემბერს, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურის ფარგლებში კანდიდატთა შერჩევის პროცედურის ფარგლებში - 2024 წლის 2 სექტემბერს, ზვიად გოჩაშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა. საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა.

ზვიად გოჩაშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი: მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 75/16; რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 9. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „ზვიად გოჩაშვილს ადმინისტრაციულ სამართალში სწრაფად შეეძლო საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა. ასევე, შეუძლია მასალის საფუძვლიანად და სწრაფად გააზრება. უმეტესად ლოგიკურად მსჯელობდა და იღებდა ლოგიკურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. რეკომენდირებულია მან იმუშაოს ადმინისტრაციული სამართლის სპეციფიკური საკითხების უფრო სიღრმისეულ შესწავლაზე, რაც მას გამოადგება პრაქტიკულ საქმიანობაში. სამოქალაქო სამართალში სტაჟირების მიმდინარეობისას წარმოაჩინა მრავალმხრივი თეორიული ცოდნა კონკრეტული სპეციალიზაციის, სპეციფიკის გათვალისწინებით. სემინარული მუშაობისას პრაქტიკული დავალებები შეასრულა სათანადოდ და მაღალკვალიფიციურად, გამოავლინა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მაღალი დონე. აზრის გამოხატვის, კამათისა თუ დისკუსიის დროს არის დამაჯერებელი, ეთიკური და არაგადაჭარბებული. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტებში აზრი ყოველთვის სწორად და თანმიმდევრულად იყო ჩამოყალიბებული. სისხლის სამართალი - კარგად იცნობს სასამართლო პრაქტიკას და სემინარული მუშაობის ეტაპზე, საკითხის განხილვისას ყოველთვის ჰქონდა დასაბუთებული პასუხი კითხვებზე. კარგად იყენებს თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში, კერძოდ, სემინარული მუშაობისას კა'ხუსების გარჩევისას. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე."

საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ ზვიად გოჩაშვილი კარგად ფლობს საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს, კანდიდატი ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. აღსანიშნავია, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მან არასრული პასუხი გასცა საკასაციო საჩივართან, ადმინისტრაციულ სამართალში სარჩელის უ'ხრუნველყოფასთან და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს.

მიმაჩნია, რომ ზვიად გოჩაშვილი კარგად იცნობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატმა დასმულ საკითხებზე დააფიქსირა კვალიფიციური პასუხები, თითოეულ საკითხზე მისი მსჯელობა იყო არგუმენტირებული და დასაბუთებული.

<u>კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან</u> დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ 'ზვიად გოჩაშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული მუშაობის გამოცდილება. ამასთან, იგი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტებში აზრი ყოველთვის სწორად და თანმიმდევრულად იყო ჩამოყალიბებული.“ ასევე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორებისა და რესპოდენტების ინფორმაციით, კანდიდატს გააჩნია სამართლებრივი ნორმის შინაარსის სწორად გადმოცემის უნარი, რის გამოც კარგად ახერხებს გადასაწყვეტი საკითხის სამართლებრივ დასაბუთებას. აქასთან, მას შეუძლია ხაზგასმა გააკეთოს იმ არგუმენტებზე, რომლებზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და სამართლებრივი დასკვნები დააფუძნოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმებზე.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები არგუმენტირებული და დასაბუთებულია. საჯარო მოსმენის შედეგის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ კანდიდატის მსჯელობა სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო კვალიფიციური და თანმიმდევრულია.

<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნართან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომლის თანახმად „ზვიად გოჩაშვილი სწრაფად ერკვევა დავის არსში, შეუძლია გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვეთა და მათითვის სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემა. აზრს გადმოსცემს ლოგიკურად თანმიმდევრულად და დამაჯერებლად. შეუძლია სწორად წარმოაჩინოს სადავო საკითხის არსი და შესაბამისი დასაბუთებით ახსნას მიღებული გადაწყვეტილება. კანდიდატი გადაწყვეტილებაში არის ძალიან სწრაფი და დამაჯერებელი. მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია. კანდიდატს შესწევს უნარი შეაფასოს და წერილობითი ფორმით გასაგებად გადმოსცეს მისი არგუმენტაცია შესაფასებელ საკითხთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტები შესრულებული იყო ძალიან კარგად და ძირითადად მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებებს საჭიროებდა. მას გააჩნია აკადემიური წერის მაღალი კულტურა და სამართლებრივი დასკვნების გაკეთებისას ამომწურავად ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს. კანდიდატი ზეპირად ამომწურავად გადმოსცემს აზრს, მსჯელობისას შეუძლია გამოყოს მნიშვნელოვანი გარემოებები, გააკეთოს ისეთი დასკვნა, რაც აადვილებს აზრის აღქმას.“

გამოკითხული რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ ზვიად გოჩაშვილი წერისას ადეკვატურად იყენებს სამართლებრივ ტერმინოლოგიას, წერს გრამატიკულად და სტილისტურად გამართულად, აქვს აზრის ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბების, პროცესის მონაწილეებთან კონსტრუქციული საუბრის უნარი. გამოკითხული რესპოდენტები კომპეტენტურობის კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში პოზიტიურად აფასებენ კანდიდატს.

მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად, კვალიფიციურად და ლოგიკურად გადმოცემა, როგორც წერილობით, ისე ზეპირი კომუნიკაციისას. საჯარო მოსმენაზე კანდიდატი ლოგიკურად და არგუმენტირებულად გადმოსცემდა საკუთარ

შეხედულებებს. მას გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დაცვის უნარი.

<u>პროფესიული თვისებებთან</u> დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ ზვიად გოჩაშვილი გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით. როგორც უკვე აღვნიშნე, კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე ნათლად და დასაბუთებულად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე.

<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კანდიდატი ზვიად გოჩაშვილი მუდმივად ღიაა სიახლეების მიმართ, იგი ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქტიურად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, შეძენილ ცოდნას და უნარებს იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

2023 წელს კანდიდატმა ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამოვიანი სასწავლო კურსი და ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა. იგი არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

<u>პროფესიული აქტივობის</u> მახასიათებელთან მიმართებით, კანდიდატის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ ზვიად გოჩაშვილს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, მიღებულ ცოდნას კი წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, მათ შორის: განაჩენის დასაბუთება, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და დასაბუთება, ნასამართლობის მოხსნა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2014 წელი; ეფექტური კომუნიკაცია და კომუნიკაციის სტანდარტები - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2015 წელი; კიბერდანაშაულთან დაკავშირებულ საქმეთა (ეფექტიანი) განხილვა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2018 წელი და სხვა.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ ზვიად გოჩაშვილის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 90 ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი: 17.09.2024